

მევახშეობა, თეოლოგიის თვალსაზრისით, ძველ საქალაქო საკანონმდებლო კრებებსა და თანამედროვე საქართველოს კანონმდებლობაში

მადონა ლელაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სამართლის იურიდიული ლექსიკონი სიტყვას მევახშეს არ იცნობს, თუმცა ქართული სიტყვაა და როგორც დიდი სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს „ვალის სარგებლის უნესო სარგებელს“ ნიშნავს. ვალი-სესხად აღებულ ფულს ჰქვია. სხვადასხვა ფორმითა და შეთანხმებით, ადამიანთა შორის ურთიერთობებში სესხი ყოველთვის არსებობდა. თეოლოგიაში იგი, სიკეთის ერთერთ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ და პროცენტს საერთოდ არ გულისხმობს. მე-14, მე-18 საუკუნის საქართველოს კანონმდებლობა, მევახშეობის საკითხს არეგულირებდა. დღეს საქართველოში, მევახშეობის რეგულაციის არ არსებობის და კანონის სისუსტის გამო, ადამიანები მევახშეების პირისპირ დარჩნენ. მტაცებლურ დაკრედიტირებას თან ახლავს სოციალური სიდუხჭირე, რისთვისაც დაზარალებულებს უხდებათ ბრძოლა.

„MEVAKHSHEOBA“, FROM THE POINT OF VIEW OF THEOLOGY, IN ANCIENT CHURCH LEGISLATIVE ASSEMBLIES AND MODERN GEORGIAN LEGISLATION

Madonna Leladze
Phd Student of GTU

RESUME

The legal dictionary of law does not know the word “mevakhshe”, although it is a Georgian word and as explained by Didi Sulikhan-Saba Orbeliani, it means “unlawful benefit of debt interest”. Debt is called borrowed money. In various forms and agreements, loans have always existed in relationships between people. In theology, it can be considered as one of the aspects of goodness and it does not mean interest at all. Georgian legislation of the 14th and 18th centuries regulated the issue of peddling. Today in Georgia, due to the lack of weak regulation of peddling and the weakness of the law, people are left face to face with peddlers. Predatory lending is accompanied by social hardship, for which victims have to fight.

* * * *

სამართლის იურიდიული ლექსიკონი სიტყვას მევახშეს არ იცნობს, თუმცა ქართული სიტყვაა და როგორც დიდი სულხან-საბა ორბელიანი გან-

მარტავს “ვალის სარგებლის უნესო სარგებელს” ნიშნავს. ვალი-სესხად აღებულ ფულს ჰქვია, რის შედეგადაც მსესხებელი ხდება მოვალე ვინმეს ან რაიმეს წინაშე და კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი, რომელიც მსესხებლისაგან აიღო. აღნიშნული საკითხის რეგულირებას მიძღვნილი აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეცხრე თავი, სადაც გამსესხებლისა და მსესხებლის, გაცემის, და ვალდებულებების წესები სრულადაა გადმოცემული. ამავე კოდექსში ვერ ვნახავთ სიტყვას - მევახშე, იგი სამართალში იწოდება ფიზიკური ან იურიდიული პირი (გამსესხებელი) და 625-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრულია მისი ვალდებულება და პროცენტის წლიური ზღვარი სესხისთვის.

სხვადასხვა ფორმითა და შეთანხმებით, ადამიანთა შორის ურთიერთობებში სესხი ყოველთვის არსებობდა. თეოლოგიაში იგი, სიკეთის ერთერთ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ და პროცენტს საერთოდ არ გულისხმობს. მაგალითად, ლუკას სახარებაში, ჩვენი მაცხოვარი იესო ბრძანებს, “გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ”. უფლის ეს სიტყვები სრულად უარყოფილია ადამიანთა ცხოვრებაში. სახელმწიფოებში ოდითგანვე არსებობდა სესხის პროცენტებით გაცემის პრაქტიკა. ეს ისეთი მავნე და უნესო ცხოვრების წესად იყო ქცეული, რომ ისტორიული წყაროების გადმოცემით, ქრისტიანი იმპერატორები ყოველთვის ცდილობდნენ საერთოდ აეკრძალათ სესხის პროცენტით გაცემის წესი, ან რაიმე ჩარჩოებში მოექციათ გამსესხებელთა და მსესხებელთა ვალდებულებები. მიუხედავად მცდელობებისა, ვერავინ შეძლო აღნიშნული საკითხის შეჩერება და მისი ზნეობრივი ფორმით რეგულირება. პირიქით, XIX- საუკუნიდან, მსოფლიოში გაჩნდა ისეთი ორგანიზაციები რომელსაც ბანკი ეწოდება და ეს საბანკო სისტემა დღემდე ყველა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. იგი თავიდან ბოლომდე ფულის გასესხება-სესხებაზეა დაფუძნებული. საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალ ეკონომიკურ სისტემასთან ერთად საზოგადოებაში გაჩნდა სესხის ახალი ფორმები. ფულის პროცენტულ გასესხებას თან ახლავს გირაო, იპოთეკა, ლომბარდი, საბანკო ბიზნესი

და ა.შ. ყოველივე აღნიშნულს კანონი არ კრძალავს, პირიქით, დაკანონებულია როგორც სამოქალაქო კოდექსით, ისე სხვადასხვა სამართლებრივი ნორმებით. ასეთი საქმიანობა თუ ერში საკანონმდებლო ფორმით დასაშვებია და რეგულირდება, მართლმადიდებლურ ცხოვრებაში არაზნეობრივი ქრისტიანული ცხოვრება ჰქვია, ამიტომაც საეკლესიო კანონები სასულიერო პირებს უძველესი დროიდან უკრძალავს მევახშეობას. მსოფლიოს პირველი და მეექვსე საეკლესიო კრებათა განჩინებით (325-680 წწ), კართაგენისა და ლაოდეკიის კრებებით, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის კანონებით, მევახშე სასულიერო პირებს, განკვეთას განუწესებენ. მაგალითად, ლაოდეკიის კრების მე-4 კანონი ადგენს - “კლირიკოსებს (ეკლესიის მსახურნი) ეკრძალებათ მევახშეობა. სამღვდლო პირმა არ უნდა გაასესხოს სარგებლით ფული და არ უნდა აიღოს ვახში და აღნადგინები.” მღვდელმსახურს ეკრძალება ვაჭრობა, განსაკუთრებით, ღვინით.

XIV-საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალე-ს მეფობის პერიოდში, საეკლესიო საკანონმდებლო კრების მიერ გამოცემულ სამართლის ნორმებში, რომელიც “ძეგლის დადება მეთ-მეფის გიორგი-ს „ სახელითაა ცნობილი და სამართლის ისტორიის კულტურ-მემკვიდრეობას წარმოადგენს, მკაცრად გმობს მევახშეობას 46-ე მუხლით. -“**სარგებელი არც ქართველთ რჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხეუთა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო. და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათასა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს,-რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად. და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს, სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა.**“

ეს კანონი ამბობს, რომ მევახშეობა არის უწესო საქციელი, იგი არც სხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაშია მიჩნეული კეთილსინდისიერად და არც ქართულ “რჯულს” ანუ ზნეობას არ შეეფერება. კანონმდებელმა გარდა იმისა, რომ მევახშეობა აკრძალა, ფულის პროცენტით გამსესხებელს “ავ კაცს” უწოდებს. ავი კაცი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით - არის არაკეთილი ადამიანი, ბოროტი კაცი. ამიტომაც სამართლის ეს ნორმა მსესხებელს ეუბნება, რომ რა დროც არ უნდა გავიდეს, არ აქვს ვალდებულება “ავი კაცის” წინაშე, პროცენტით ფული დააბრუნოს. მაგრამ თუ მევახშე ძალიან ბოროტია “ათას თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს“-ო. თუმცა “სამართლით” არც ამის ვალდებულება არ აქვს მსესხებელს. აღნიშნული კანონის შესაბამისად, სიტყვა მევახშე უნამოსობას, ბოროტებას და ცუდ ადამიანობას ნიშნავს.

დროთა განმავლობაში მევახშეობასთან დაკა-

ვშირებით, სახელმწიფოსა და ეკლესიის მიდგომები შეიცვალა. XVIII-საუკუნეში კაპიტალისტური სისტემის ჩანასახებთან ერთად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის კრებულში, რომელიც საქართველოს სამართლის ისტორიის კიდეც ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია და 1706-1709 წლებშია გამოცემული, ჩნდება გასესხებასთან დაკავშირებული საპროცენტო დაშვება და პროცენტის ოდენობის განსაზღვრა. მეფემ კანონი შეადგენინა ცნობილ მეცნიერს, კათალიკოს პატრიარქს დომენტი IV-ს, აგრეთვე მთავარეპისკოპოს გრიგოლს, სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოს-წინამძღვართ და სასულიერო პირებს, 125-ე მუხლში გადმოცემულია მევახშეობასთან დაკავშირებული წესი - **“თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალი ქნა და სული სძულს, თუ მანი-თვეში ხუთშაურად; თუ სული ცოტად უყვარს - აბაზად; თუ უკეთ უყვარს - სამ შაურად; და თუ მართლა უყვარს - ორ შაურად. სულ უკეთესია ის არის, რომ სარგებელი სულ არ აიღოს.**“ როგორც ჩანს მაშინდელ საზოგადოებაში ფულის გასესხება პროცენტით, ძალზე გავრცელებული შემთხვევა იყო, რომელიც სახელმწიფოს რეგულირების საკითხად იქცა. ამიტომაც, მევახშეობა განისაზღვრებოდა გამსესხებლის კეთილსინდისიერებით, ადამიანობით და თავმოყვარეობის საფუძველზე, რომელიც პროცენტული რიცხვების დასახელებით გამოიხატებოდა. თუ კარგად დავაკვირდებით აღნიშნული სამართლის ნორმას, მაშინდელმა კანონმემოქმედმა სასულიერო პირებმა, სესხის პროცენტის სარგებელის დაშვებასთან ერთად აღიარეს მისი არაკეთილსინდისიერი, არამადლიანი და მომაკვდინებელი “ცოდვა კაცისა“. და გამსესხებელი სინდისის წინაშე დააყენეს, თავად დაუტოვეს უფლება შეაფასონ თავის თავი, იყოს მევახშე თუ არა, ამიტომაც განუსაზღვრეს საზომი მევახშეობის არაზნეობრივი ფორმა, ფულის გასესხების კონკრეტული პროცენტული რაოდენობა რიცხვებით. თუ საერთოდ უანგაროდ გაასესხებდნენ ფულს, მაშინ ეს იყო ღირსეული თვისებების გამოვლენის ყველაზე კარგი საქციელი.

XIX - XXI საუკუნეების ახალმა მსოფლიო ეკონომიკურმა სისტემამ, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს საპროცენტო გასესხებასთან დაკავშირებით ახალი კანონიკური პრინციპები ჩამოუყალიბა. მაგალითად, 1942 წელს ვატიკანმა დააფუძნა საკუთარი ბანკი, რომელსაც რელიგიური საქმეების ინსტიტუტის სახელწოდება ჰქონდა და იგი დღესაც წარმატებულად ფუნქციონირებს.

1983 წელს მიღებული და დღემდე მოქმედი კათოლიკური ეკლესიის სჯულის კანონის 1259-ე და 1284-ე მუხლები, ნებას რთავს იპოთეკური, თუ სხვა ტიპის სესხების გამოყენებას.

დღეის მდგომარეობით ადგილობრივი ავტოკე-

ფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის ფინანსები დაბანდებულია სხვადასხვა კერძო, თუ სახელმწიფო ბანკში 1995 წელს მიღებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, სადაც ნათქვამია, რომ “საეკლესიო თანხები ინახება ბანკში შესაბამისი საეკლესიო დანესებულებების სახელზე”. 90-იან წლებში საქართველოს საპატრიარქო საკუთარი ბანკის მფლობელიც კი იყო. არც ერთი სასულიერო პირი არ უკრძალავს თავის მრევლს ისარგებლონ ბანკებით, ან არ მუშაობდნენ საბანკო სისტემაში და ა.შ. 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, ასევე არ კრძალავს ეკლესიის საბანკო სისტემით სარგებლობას. თუმცა საპროცენტო გასესხებასთან დაკავშირებით ეკლესიის ზნეობრივ-კანონიკური პრინციპები დარჩა უცვლელი. ასეთი ტიპის საქმიანობა დაუშვებელია სასულიერო პირებისათვის. მათ უნდა ჰქონდეთ მაღალი ზნეობრივი კულტურა და ზრუნავდნენ ადამიანის სულიერ ცხოვნებაზე. პროცენტი არ უნდა იყოს დიდი. რაც უფრო დაბალია პროცენტი, მით უფრო გამართლებულია რელიგიურად და თუ საერთოდ უპროცენტოდ გასცემს გამსესხებელი ფულს, ქრისტიანულად ეს არის მოყვასისადმი გაცემული მაღლი და სიკეთე. გაჭირვებულ, ლატაკ ადამიანებზე პროცენტით გასესხება დაუშვებელია და ა.შ.

საბჭოთა პერიოდში, 1992 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, მევახშეობა დასჯად დანაშაულად ითვლებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ბანკებთან ერთად ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გარანტიორები გახდნენ კერძო გამსესხებლებიც. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ფაქტობრივად, არასდროს იზღუდებოდა მევახშეური საქმიანობა, პერიოდული რეგულირების საგანს მხოლოდ სასესხო ხელშეკრულებაში საპროცენტო განაკვეთის ოდენობა წარმოადგენდა. მაგალითად, 1997 წლიდან მოქმედი სამოქალაქო კოდექსი არეგულირებდა სესხის ხელშეკრულების მხარეთა შორის განსაზღვრული პროცენტის ოდენობას, რომელიც შესაბამისი უნდა ყოფილიყო მაშინდელ “ეროვნული ბანკის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან” თუმცა 2007 წელს კანონმდებლობაში გაჩნდა პროცენტის განსაზღვრის სხვა უფლება, კერძოდ: სასესხო ხელშეკრულებაში უნდა ყოფილიყო ასახული, მხარეების პროცენტის თავისუფალი განსაზღვრა. ანუ პროცენტს მხარეები ადგენდნენ. 2017 წლის პირველ იანვარიდან კანონში ჩნდება სესხის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობის რეგუ-

ლირება. 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის პირველ სექტემბრამდე გაცემული სესხებისათვის წლიურ საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობად კანონი 100%-ს ითვალისწინებდა, ხოლო 2018 წლის პირველი იანვრიდან დადებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ოდენობა 50%-ს არ უნდა აღემატებოდა. ეს ნორმა დღემდე მოქმედებს.

სულ სხვა მიდგომები აქვს სესხის პროცენტით გასხვისების საკითხში თანამედროვე საქართველოს კანონმდებლობას. დღეს სესხი გაიცემა როგორც საპროცენტო სარგებლით, ისე იპოთეკით. იპოთეკა სამართალში არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტი (სესხი). იპოთეკით კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს სესხის მოქმედების პერიოდში აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას, რომლის შედეგადაც გამსესხებელს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება აქვს. მოვალე შეიძლება იყოს როგორც ბანკი, ისე ფიზიკური პირი და მხარეები ერთობლივად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი შეთანხმება სამართლებრივ პასუხისმგებლად ითვალისწინებს.

სამოქალაქო კოდექსის მეორე თავში გადმოცემულია ხელშეკრულების შესახებ ფორმები და პირობები, რომელის შედგენის საფუძველზეც, როგორც უკვე აღვნიშნე სესხი რეალურ შეთანხმებას განეკუთვნება და ხელშეკრულების საგნის-გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა. სესხის ხელშეკრულება ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულების ვალდებულებას წარმოადგენს და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლისადმი იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთი მხარე მეორე მხარეს საკუთრებაში გადასცემს ფულს, ფულის ოდენობა, აღნიშნული ფულით სარგებლობის პირობები და დაბრუნების ვადა იმ არსებით პირობად ითვლება, რომელზეც შეთანხმდნენ მხარეები. ასეთ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულება დადებულია და ძალაში შედის სესხის გაცემის მომენტიდან.

ქართული კანონმდებლობა, მევახშეობის, ცნებას რომ არ იცნობს, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით, თუმცა დასავლეთის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში “მევახშეობა” უკანონო ქმედებაა და მკაცრად რეგულირდება. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი მევახშეობას ითვალისწინებს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელივით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმე-

დების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით აშკარად არაპროპორციულია, გერმანიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევას, ცალკეული გარემოების გათვალისწინებით ადგენს. ამასთან, მხედველობაში მიიღება იმ დროისათვის ბაზრის მოქმედი წესები და იმ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული რისკები. მევახშეობად მიიჩნევა სესხის ბაზარზე არსებული პროცენტის ორმაგი ოდენობა. თუ ეკონომიკურ ერთიანობას რამდენიმე გარიგება ქმნის, მაშინ ცალკეული ზარალი ერთი მხარისათვის მთლიანობაში ჯამდება. მოწმდება გარიგების ზნეობრივი მხარე, რაც გულისხმობს მხარეთა შეთანხმებაში ხომ არ იკვეთება, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობის სუბიექტური კრიტერიუმები. აუცილებელია, არსებობდეს განზრახი **ბრალი. დაზარალებულის მძიმე მდგომარეობით შეგნებულად სარგებლობა. მძიმე მდგომარეობად მიიჩნევა, მეორე მხარის გამოუცდელობა, გონივრული განსჯის უუნარობა ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტე.** იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით შეგნებულად სარგებლობა, რჩება იმის ალბათობა, რომ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის დადებული ხელშეკრულების მკვეთრი სხვაობის არსებობის პირობებში, გარიგება ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო აღმოჩნდეს. აგრეთვე, მოწმდება ხელშეკრულების ტექსტი, სადაც ყურადღება ექცევა “ ხომ არ არის განკუთვნილი ვადაგადაცილებისათვის ბევრად უფრო მაღალი პროცენტი, ვადაგადაცილებისათვის შეუსაბამოდ მაღალი გადასახდელები, ჯარიმები, საკომისიოები, სესხის საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა ზედიზედ ორ ვადაგადაცილებაზე მსუბუქი დარღვევის საფუძველზე და. ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გერმანული სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ გამსესხებელსა და მსესხებლის შორის აშკარა შეუსაბამობაა, ფაქტების ამგვარი კონსტელაციის პირობებში გარიგება, როგორც ზნეობის საწინააღმდეგო ქმედება, ბათილად მიიჩნევა.

საქართველოს სამართალში კონკრეტულად ასეთი მუხლი არ არსებობს, რომელიც დაავალდებულებდა სასამართლოს გერმანიის სასამართლოს პრაქტიკის მსგავსად აღნიშნული საკითხი ასე სიღრმისეულად გადაემოწმებინა და ისე განეხილა, თუმცა არსებობს მცირედი შანსი ქართულ სასამართლოშიც, დაზარალებულის მყარი მტკიცებულებით (ანუ მოსარჩელის მტკიცების ტვირთის საფუძველზე), მოსამართლემ შეძლოს გადანყევტილებით, დაუპირისპირდეს უთანასწორობას

და ხელი შეუწყოს თანასწორობას და სოციალურ პროგრესს.

ქართული სასამართლო პრაქტიკა მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულების შეუსაბამო ურთიერთმიმართების პირობებში გარიგების ნამდვილობას სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კონტექსტში ამოწმებს. სადაც მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების ბათილობაზეა საუბარი. კერძოდ - ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. იგივე სტანდარტს იყენებს, როდესაც მიიჩნევს, რომ სესხი შეუსაბამოდ მაღალ პროცენტად არის გაცემული. სასამართლო მაღალპროცენტულობის სესხის ნამდვილობას ზნეობრივი ქცევის მახასიათებლებით აფასებს და განმარტავს, რომ კანონის საფუძველზე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მორალური ღირებულებების დაცვა საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და სამართლის ნორმების ჰარმონიზაციის ნიშნად წარმოადგენს. კანონის შესაბამისად, ზნეობის საწინააღმდეგო ქმედებები დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ შედეგებთან და იგი ადამიანთა მიმართ არაერთი იძულებითი ღონისძიების გამოყენებას იწვევს. ზნეობის ნორმის დაუცველობა ადამიანთა მიერ გამოვლენილი ნების გაბათილებას განაპირობებს. მისი საწინააღმდეგო შეთანხმებები არარაა და მათ არანაირი სამართლებრივი შედეგების დადგომა არ უკავშირდება. სასამართლო პრაქტიკაში შეხვდებით ისეთ განმარტებებს სესხთან დაკავშირებით სადაც ნათქვამია - საზოგადოება ამორალურად ისეთ შემთხვევებს მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთს ბევრად უფრო მძიმე მოთხოვნებს უწესებენ, ვიდრე ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში მართებულადაა მიჩნეული. მსგავსი მოთხოვნები საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს. პირიქით, ისინი საზოგადოების წევრთა უფლებებსა და ინტერესებს გაუმართლებლად ლახავს და ადამიანის არაერთი ღირებულების დაცვას უქმნის საფრთხეს. ასეთი სახის შემთხვევად შეიძლება განუზომლად მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაკისრება ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, სასამართლო, სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის საფუძველზე აფასებს, სადაც განსაზღვრულია გამსესხებლის ვალდებულება და პროცენტი სესხისთვის, რომელიც წლიურად 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს. გამომდინარე აღნიშნული მუხლიდან, თუ მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში პროცენტი მეტია ვალდებულებით განსაზღვრული, მაშინ სასამართლო, კანონის შესაბამისად, ამცირებს პროცენტს. სამართლის ეს ნორმა ვრცელდება ყველა სახის სესხზე, მათ შორის, იპოთეკით უზრუნველყოფილ

სესხებზეც. ზოგ შემთხვევაში იპოთეკა შეიძლება კანონსაწინააღმდეგო ქმედებადაც იყოს მიჩნეული, თუ დადგინდა, რომ ბანკის, ან კერძო გამსესხებლის უპირველესი მიზანი საპროცენტო სარგებელი კი არ იყო, არამედ იპოთეკით დატვირთული ქონების დაუფლება.

ამ საკითხთან დაკავშირებით მიდგომები ჩვენს წინაპრებს უკეთ განუსაზღვრავს, ძველი საეკლესიო სამართლის კრებები, რომელთა ცალკეულ მუხლებზე ზემოთ ვთქვით, მნიშვნელოვნად არეგულირებდა სესხის საპროცენტო განაკვეთს. სამართლის ძეგლები სცნობდა სიტყვას - მევახშეს, განსაზღვრავდა პროცენტს და ზოგ შემთხვევაში კრძალავდა კიდევ. კანონით განმარტავდა სესხით მიღებული სარგებლის დანაწესის არა ზნეობრივ მხარეს, ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, მე-14, მე-18 საუკუნის საქართველოს კანონმდებლობა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დღევანდელი დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სამართალთან თანასწორად მივიჩნიოთ. ამის საფუძველს გვაძლევს გერმანული სამართალი, რომელიც სცნობს სიტყვას-მევახშეს, როგორც დანაშაულს და ადამიანთა ურთიერთშეთანხმების უზნეობის ფორმას.

დღეს საქართველოში, მევახშეობის სუსტი რეგულაციის არ არსებობის და კანონის სისუსტის გამო, ადამიანები მევახშეების პირისპირ დარჩნენ. მტაცებლურ დაკრედიტირებას თან ახლავს სოციალური სიდუხჭირე, რისთვისაც დაზარალებულებს უხდებათ ბრძოლა.

არასამთავრობო ორგანიზაცია “ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) „ აქვეყნებს ანალიტიკურ დოკუმენტს, სადაც ამბობს, რომ - “საქართველოში მევახშეობის პრობლემა, ხშირად უსახლკაროებისა და ადამიანის სხვა ტიპის დარღვევის მიზეზი ხდება. მოსახლეობის 92% საკუთარ ბინაში ცხოვრობს, თუმცა არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ მომდევნო წლებში საკუთარ ბინაში მაცხოვრებელთა პროცენტული წილი მკვეთრად შემცირდეს. დაკრედიტების მზარდ სტატისტიკაში ჩანს კრედიტორთა უმთავრესი ინტერესი და შეუბოჭავი ძალაუფლება, რომ დაეუფლონ იპოთეკით დატვირთულ ქონებას. ისინი ბოროტად სარგებლობენ მსესხებლის უყურადღებობით, გამოუცდელიობით თუ უკიდურესად მძიმე მდგომარეობით. მტაცებლურ პრაქტიკას ხელს უწყობს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩავარდნები.

პრობლემა ეგრეთ წოდებული, თვალთმაქცური პირობები უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში, როგორიცაა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება გამოსყიდვის უფლებით. ნასყიდობა მიტაცების პრაქტიკას აადვილებს იპოთეკის ხელშეკრულების აღსრულებას სასამა-

რთლო რგოლის მონაწილეობის გარეშე - მხოლოდ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, ე.წ. შუამავალი სუბიექტების არსებობა მსესხებლისა და მევახშეს შორის, მევახშეების მიერ სახლის ბინადრების მოტყუებით სახლიდან გამოყვანა და დალუქვა.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ზემოქმედება და შევიწროვება ბანკებში არსებული “პრობლემური აქტივების მართვის” ბიუროებისა და კერძო აღმასრულებელთა მხრიდან, რომლებიც სრულად მოითხოვენ მსესხებლებისგან მათ ხელთ არსებული კაპიტალის რეალიზებას. გაპრობლემებული სესხის გამო ადამიანებს გამუდმებით ავინროვებენ და მათზე ფსიქოლოგიურად ძალადობენ აღმასრულებლები. ფულის ამოღების მიზნით შექმნილი ორგანიზაციები, ე.წ. „ფინბიუროები“, მოვალის ახლობლებს ურეკვენ და აწვდიან ინფორმაციას მათი გაპრობლემებული ვალის შესახებ, რითაც ირღვევა ადამიანი კომფერენციალობა.

უძრავი ქონების რეალიზება იძულებითი აუქციონის საშუალებით ხდება, რაც ქონების ე.წ. სპირალისებულ გაუფასურებას იწვევს. გაყიდული ქონების ბევრ შემთხვევაში, მყიდველები თავად კრედიტორები არიან. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების სოციალურ შედეგთა შორისაა: გაუარესებული საცხოვრებელი პირობები, გაუარესებული ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, სუიციდი, ემიგრაცია, ოჯახების დისინტეგრაცია და კომფლიქტები. ამასთან საბაზრო ძალაუფლების გადამეტების მსხვერპლი ხშირად ხდებიან ქალები, ვისაც ოჯახის წევრებს შორის ყველაზე ნაკლები ეკონომიკური აგენტობა და ცნობიერება აქვთ, ან მარტოხელა ქალები ვის ოჯახშიც მამაკაცმა დატოვა მძიმე საკრედიტო ისტორია.“

მართლაც დღევანდელი მდგომარეობით მევახშეების მიერ დაზარალებულთა ასიათასობით საქმეა სასამართლოსა თუ პროკურატურაში. საბანკო დანესებულებები და კერძო მევახშეები მდიდრებიან სესხის სარგებლით მიღებული პროცენტით და ამავდროულად სხვისი ქონების დაუფლებით. ეს კი ვფიქრობთ გამოწვეულია ისეთი კანონის არ ქონით, რომელიც აკრძალავდა მევახშეობას. ჩვენი ღრმა რწმენით კანონმა უნდა დაარეგულიროს გამსესხებელსა და მევალეს შორის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ზნეობრივი კრიტერიუმებიც, რომელზეც, ბუნებრივია, უნდა იგებოდეს კანონი. დღეს კი არსებული კანონი სრულ თავისუფლებას ანიჭებს მხარეებს, თავად განსაზღვრონ გარიგება და შეთანხმდნენ ვალდებულებაზე. ასეთი დამოუკიდებლობის შემთხვევა მევახშეთათვის ხელსაყრელია. იგი არ უტოვებს უფლებას მსესხებელს არ გარისკოს, რადგან მისთვის დიდი სარგებლის გარეშე

თანხას არ გასცემს. ამიტომ კანონს შეუძლია აკრძალოს ასეთი თავისუფალი ქმედება სესხის გაცემის პირობებში და ის ჩარჩოებში მოაქციოს.

ეს კვლევა აჩვენებს ქვეყანაში შექმნილ ისეთ მიმდინარეობას, რომ მევახშეობა შეიძლება ითქვას არის დიდი ბოროტება, არაქრისტიანული ქმედება. სიკეთისგან და მადლისგან უარყოფილი, უზნეო ადამიანის ისეთი ცხოვრება, რომელიც სხვის უბედურებაზე აშენებს თავის ბედნიერებას.

ქრისტიანული მოძღვრება, რომელსაც ღვთისმსახურების სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის საზოგადოებაში, ფესვები თანაბრად აქვს

გადმული, მევახშეობის შესახებ წმინდა წერილში გადმოგვცემს - “ვერცხლი (ფული იგულისხმება) მისი არა მისცა აღმადგინებლად (ანუ მევახშეობა და გაპროცენტება) და ქრთამი უბრალოსა ზედა არა მიიღო (ფსალმუნის მე-14 თავის, მე-5 მუხლი) - თუ ვერცხლს ასესხებ (თანხა იგულისხმება) ვინმე ღარიბს ღატაკს, ნუ შეავიწროვებ მას და ნუ გადაახდევინებ ვახშ გადასახადს (გამოსვლა 22-ე თავის 25-ე მუხლი). ლევიტელთა 25-ე თავის 36-ე მუხლში წერია: “თუ შენი ძმა გაღარიბდეს დაეხმარე, მას შენი ვერცხლი არ მისცე ვახშით და სარგებლით. მიეცი მას შენი პური.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟურნალი “ჩემი ადვოკატი” - “სესხი და მევახშეობის ურთიერთობა.” ავტორი ქეთევან მესხიშვილი.
2. საზოგადოებრივ-რელიგიური ჟურნალი “ამბიონი” - “მევახშეობა და მისი კანონიკურ-ზნეობრივი ანალიზი.” ავტორი მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი.
3. არასამთავრობო ორგანიზაცია “ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“-კვლევა. “მოსახლეობა მევახშეობის პირისპირ”
4. ბიბლია
5. წმინდა წერილი. ფსალმუნები.
6. ლეიტელთა კანონი.
7. ძველი საეკლესიო კრებები (სამართლის ძეგლები)
8. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი